№ 112
შაბათი, 29 მაისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 112
შაბათი, 28 მაისი, 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის-გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—ასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადების:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ანნა ანდრიას ასული ლორის-მელიქოვისა**, ვაჟიშვილი მისი **ივანე ზაქარიას ძე** და **ქალიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ გარდაცვალებასა პირველი ქმრისას და დანარჩენნი მამისას თვისისას სამსახურ გარეშე მყოფ პოლკოვნიკის **ზაქარია დანიელის ძის ლორის-მელიქოვისას** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსასვენებლად კვირას, 29 მაისს, დილის 9 საათზედ, საკუთარის სახლიდგან (ბაღის ქუჩა, 25) მოღნინის საყდარში. პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, საღამოს 7 საათზედ. (2—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 29 მაისს,
ქართული არტისტების ამხანაგობისაგან
ვ. ალექსიევ-მესხიშვილის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### და-ძმა

დრამა 5 მოქმედებად, ვალ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქნ. ავალიშვილისა, ტარიელოვისა ვ. ალექსეევ-მესხიევი, კ. ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, გუნია, კანდელაკი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

## ახალი ამბავი

*** მოგვყავს ცნობები იმის შესახებ, ვინ რამდენი კენჭი მიიღო ბანკის არჩევანებზედ. მმართველობის თავმჯდომარეს თანამდებობაზედ თ. ილ. გრიგოლის ძეს ჭავჭავაძეს 989 თეთრი, 334 შავი; ზედამხედველ კომიტეტის თანამდებობაზედ: უგან. თ. პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის—963 თ. 360 შ.; თ. ნიკოლოზ დავითის ძეს ანდრონიკაშვილს—910 თ. 413 შ.; თ. დავით ალექსანდრეს ძეს გურამიშვილს—913 თ. 485 შ.; ალექსანდრე იოსების ძეს კობიაშვილს—884 თ. 439 შ.; თ. ალექსანდრე ზაალის ძეს ჩოლოყაშვილს—970 თ. 352 შ.; თ. ვასილ მიხეილის ძეს თუმანიშვილს—838 თ. 485 შ.; თ. ლევან გიორგის ძეს ჯანდიერს—928 თ. 395 შ.; პეტრე იოსების ძეს ყიფიანს—884 თ. 499 შ.; გიორგი დურმიშხანის ძეს ჟურულს—804 თ. 519 შ.; თ. რაფიელ დავითის ძეს ერისთავს—894 თ. 439 შ.; რომანოზ კონსტანტინეს ძეს ჯავრიშვილს—697 თ. 626 შ. მმართველობის მეოთხე წევრის თანამდებობაზედ: უგანათ. თ. მიხეილ ალექსანდრეს ძე გრუზინსკის—974 თ. 349 შ.; ამ მმართველობის წევრთა კანდიდატებად: თ. ალექსანდრე რევაზის ძეს ვახვახიშვილს—749 თ. 529 შ.; თ. დიმ. ერასტის ძეს ჩოლოყაშვილს—889 თ. 434 შ. დამფასებელ კომისიის თავმჯდომარეს თანამდებობაზე: კონსტანტინე ფურცელაძეს—1225 თ. 98 შ.

*** კვირას, 29 მაისს, იქნება საზოგადო კრება მასწავლებელ ქალთა დამხმარებელ საზოგადოებისა. ამ კრებაზედ გასინჯულ იქნება ხარჯთ-აღრიცხვა სასწავლებლისა, რომელიც დააარსა ამ საზოგადოებამ 1893 ლის ენკენისთვეში. სასწავლებელი შესდგება სამის განყოფილებისაგან—რუსულისა, ქართულისა და სომხურისაგან და გონიერად არის წარმართული და კარგს ნიადაგზედა სდგას. სასწავლებელს საგნად აქვს მოამზადოს ქალ-ვაჟი სხვა-და-სხვა სახელმწიფო სასწავლებლისათვის. ქართულისა და სომხურის განყოფილების დაარსებას საგნად აქვს შეუმსუბუქოს სწავლის სიძნელე იმ ყმაწვილებს, რომელთაც რუსული ენა არ იციან, დააწყებინონ სწავლა სამშობლო ენაზედ და მხოლოდ თანდათან გადავიდნენ რუსულზედ. განზრახვა და მიზანი სასწავლებლის დამაარსებელ საზოგადოებისა იმდენად გონიერია და სასარგებლო ჩვენის ყმაწვილებისათვის, რომ სასურველია ჩვენმა საზოგადოებამ მიაქციოს ამ სასწავლებელს თავისი ყურადღება და დაეხმაროს თანაგრძნობით და ყმაწვილების მიბარებით. სასწავლებელი იმყოფება ძველ ინსტიტუტის ქუჩაზედ და ძლიერ კარგად არის მოწყობილი ჰიგიენისა და პედაგოგიის მხრივ.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თავმჯდომარე დედათა კომიტეტისა ქნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა გულითადს მადლობას უცხადებს ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორს და მასწავლებლებს, რომელთაც შემოსწირეს განზრახულ დედათა სასწავლებლის ფონდის სასარგებლოდ 20 მანეთი.

*** მოსკოვში არსებობს საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს გამოიკვლიოს ბუნების ძალა მცენარეთა შესწავლით. ამ საზოგადოებას ჰქვიან სახელად „მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოება ბუნების კვლევისა“ და აქ წევრებად ჩაწერა შეუძლია ვაჟსაც და ქალსაც.

ამ მოკლეს ხანში ჩვენს ქვეყანაში უნდა მოვიდეს სამეცნიერო კვლევისათვის წევრი ამ საზოგადოებისა ქალბატონი ოლგა ალექსანდრეს ასული ფედჩენკოსი, რომელიც დავალებულია თურმე ხსენებულ საზოგადოების მიერ გამოიკვლიოს ჩვენს მხარეში მცენარეთა თვისება, შეჰკრიბოს ნიმუშები ამ მცენარეთა, შეადგინოს ამის კრებული (გერბარი) და წარუდგინოს საზოგადოებას, რომელსაც უთხოვნია თურმე კავკასიის მთავარმართებლისათვის შემწეობა აღმოუჩინეთ ოლგა ფედჩენკოსას კავკასიაში მოგზაურობის დროსაო.

თანახმად ამისა ბრძანება დაურიგდა ამ დღეებში ჩვენის ქვეყნის ყველა გუბერნატორებს, რომ ქალბატონ ფედჩენკოსას ყოველივე დახმარება აღმოუჩინეთ თავის საქმის აღსრულებაშიო.

*** უმაღლესად დამტკიცებულის წესით, წლევანდელ წლიდამ მოუმატეს კიდევ სამ-სამი ცხენები შემდეგ საფოსტო სადგურებზედ: თელავის მხარეს: უჯარმაში და გომბორში, მანგლისის მხარეს-კოჯორში და პრიუტში, ხოლო ამ ორ სადგურზედ სამ-სამი ცხენი იქნება მიმატებული ყოველ წელს 15 მაისიდამ ვიდრე 15 ენკენისთვემდე, რადგან ამ დროს განმავალობაშია უფრო საჭირო, დიდის მოგზაურობის გამო წამსვლელ-წამომსვლელთა. სადგურების იჯარადრებს ეს ცხენები უკვე დაუმზადებიათ და ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით, სამაზრო ადმინისტრაციის მოხელენი მიდიან, რომ ერთად ამათა და საფოსტო მოხელეებმა შეამოწმონ ცხენებიცა და ამათი ყოველივე საჭირო სამკაული.

*** ჩვენ გვატყობინებენ: სართისჭალის ნაწილს ჰქონდა ერთად ერთი ფოსტის კანტორა ვაზიანში, რომელიც ამ წლის მარტის თვეში გადიტანეს გომბორზედ, სადაც სდგას ორი არტილერიის ბატარეია. გომბორი მდებარეობს კანტორის რაიონის ნაპირზედ, ცივ-გომბორის მთის ძირში—ოც და-რვა ვერსის მანძილზედ სართისჭალის ნაწილის შუა ადგილიდგან. თორმეტის სოფლის მოსამსახურენი: ბოქაული, ტყის მცველი, მღვ. ბლაღოჩინები, რვა სოფლის მასწავლებლები, მუხრავანში დაბანაკებული ერთი არტილერიის ბატარეია და ერთი პარკი იძულებულნი არიან დაიბარონ თავიანთ კორესპონდენციები გომბორიდგან რაც დიდად გასაჭირია საკუთარის კაცის გზავნა 25—26 ვერსის მანძილზედ.

უკეთეს ადგილს კანტორისათვის ასახელებენ უჯარმას, რომელიც არის მუხრავანიდგან ორის ვერსის მანძილზედ, გომბორიდამ ოცის ვერსისა და დანარჩენ სოფლებზედაც მარჯვეა.

ფოსტის კანტორის სიშორის გამო ზოგიერთი ჩვენი გაზეთის ხელ-მომწერნი იძულებულნი არიან გაზეთის კითხვაზედ და გამოწერაზედ უარი განაცხადონ.

*** ს. გნოლევი (ქართლი): ასეთი სიცივეები არის ჩვენს მხარეს და ისეთი ცივი ქარი ჰქრის, რომ ლამის ცეცხლის ნთება დავიწყოთ. ვენახებს მტევნები ამ საშინელმა ქარებმა სულ ძირს დააყრევინა და სოფლებს დიდი ზარალი მისცა; რაც წყლების მოდიდებამ დაგვაკლო, ეხლა ამ ქარებმა შეგვისრულა.

### შეცდომის გასწორება

გუშინწინდელ №-ში შეცდომით არის დაბეჭდილი ახალ ამბავში „სართიჭალის ნაწილი“ უნდა იყოს ს. ხაშმი და იმავე ამბავში „გაბუჩიშვილისას“ უნდა იყოს: მამუჩიშვილისას.

## ფელეტონი

### ისტორიული ოფოფები

(პასუხად ჩემს კრიტიკანებს და განსაკუთრებით ბ-ნს გ. წერეთელს: უკურდღევა მისის წერილისა: „როგორ აშენდა გელათი“, „კვალი“, №№ 12 და 13).

(დასასრული *)

ახლა თვალი გადავავლოთ ჩვენს საბუთებს, რომელნიც გ. წერეთელმა თავისს ხუროთ-მოძღვრულის მეცნიერებით უარ-ჰყო და დავხედოთ მისს კრიტიკულს გენიოსობას.

ჩვენ დავასაბუთეთ, რომ გელათში მერვე საუკუნის უწინ ყოფილა ტაძარი მთავარ-ანგელოზისა, რომელიც მურვან-ყრუს დაუქცევია 730—731 წლებში (ჩემი „ქრონიკები“ გვ. 246), მაშასადამე გელათის ძველიანობა გიორგი წერეთლამდიც ცნობილი ყოფილა ჩვენს „ქრონიკებში“ (ესეც ერთი „ოფოფი“). ხოლო წმინდა გიორგის გელათის ეკლესიის შენება დაუწყია ბაგრატ IV-ს 1057 წელს („ქრონიკები“ გვ. 202), სამადლობელად ღვთისა იმ გამარჯვებისათვის, რომელიც მიეცა მას 1056 წელს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავზე და ეს ჩვენი დასკვნა დავასაბუთეთ რამდენისამე ხელ-ნაწერების მოწმობით, წარწერებით და სხვა მოსაზრებით, მაგრამ გ. წერეთლის ხუროთ-მოძღვრულს და „მხატვრობის ისტორიულ მეცნიერებას“ მაინც ვერ ვძლიეთ და ვერა! გარდა ამისა მტკიცე და შეურყეველ საბუთებით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მეორე დიდი ეკლესია გელათისა დავით აღმაშენებელს დაუწყია 1106 წელს (ქართლის-ცხოვრებაში ვრცლად მოთხრობილია ამაზე, მხოლოდ წელი არ უზის), მაგრამ ვერ შეუსრულებია და ანდერძად დაუგდია მისის შვილის დიმიტრისთვის, რომელსაც გაუთავებია შემკობა გელათისა 1130 წელს (იხ. ჩემი „ქრონიკები“ გვ. 246—248). ბოლოს თავი მოვუყარეთ მეცნიერთა მეისტორიეთა მიერ გამოთქმულს სხვა-და-სხვა აზრსა და შევათანხმეთ ესენი ჩვენის ცნობებით (ჩემი „ქრონიკები“ გვ. 247): „ვარდანი იტყვის, რომ გელათში დამარხულნი არიანო დავითის წინაპარნი. ბროსსე არ ეთანხმება ამას, რადგან გელათი თვით დავითმა აღაშენაო (Addit. p. 233 n. I). დიუბუა ამტკიცებს, ვითომ დავითს გელათი მხოლოდ განეახლებინოს (Uoyage... II, 181—2). დ. ბაქრაძე არც ერთს არ ეთანხმება და ამბობს, რომ რადგან დავითი დასაფლავებულია ეკლესიის გარეთ, ცხადია გელათი დავითს ვერ შეუსრულებიაო... ჩვენგან აღნუსხული ფაქტები საკმაოდ ათანხმებენ ყველა ამ თქმულებათა: გელათი დავით აღმაშენებლამდიც ყოფილა: მთავარ-ანგელოზის ეკლესია მურვან-ყრუს დაუქცევია (გუჯარი ბაგრატ III, 1519 წ.); წმ. გიორგის ეკლესია აღუშენებია 1057 წ. ბაგრატ IV-ს (გვ. 202) და ალბად მეფეთა სამარხავი ყოფილა: იქ უნდა იყოს დამარხული გიორგი II და ბაგრატ IV, პაპა ბაგრატისი (ვარდანის აზრი). რადგან დავითმა აღაშენა მხოლოდ „დიდი ეკლესია“ გელათისა რამდენითავე შენობებითურთ, ამის გამო ის იწოდება განმაახლებელად გელათისა (დიუბუას აზრი), მით უმეტეს რომ დავითი მართლა განაახლებდა ძველს შენობებს. დავითი უწოდს გელათს: „სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა“, რადგან წმ. გიორგის ეკლესია მის შემდეგ გახდა „სადედუფლოდ“, ე. ი. დედოფლების სამარხავად, მხოლოდ დედაკაცთათვის (გუჯარი ბაგრატ II-ისა). დავითის სიკვდილის ჟამს გელათი აშენებული იქნებოდა და მხოლოდ მხატვრობა და სამკაული ეკლებოდა; ხოლო თუ დავით ცალკე შენობაში დაიმარხა (დ. ბაქრაძე), ეს მხოლოდ იმისი მომასწავებელია, რომ დავითს ეს შენობა კერძოდ თვისად სასაფლაოდ ანუ ძეგლად აღუგია. რა დაუშლიდა იმას თვისსავე ეკლესიაში დამარხვას, თუნდაც რომ ტაძარი „უსრულიც“ ყოფილიყო? 1118 წელს ტაძარი ნახევრადაც აშენებული არ იქნებოდა, მაგრამ გიორგი ჭყონდიდელი მაინც დაამარხვინა მეფემ „მონასტერსა ახალსა“.

უკანასკნელ განვმარტეთ, რომ 1510 წ. თათრებმა დასწვეს გელათი და 1519 წელს იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ განაახლა იგი, გაამდიდრა ახალ შეწირულობით, მოუპოვა ძველად შეწირული მამულები და ეს აქამდი უბრალო მონასტერი საკათედრო ტაძრად გახადა. ამის შემდეგ გენათელ არქიეპისკოპოსნი გახდნენ პირველ პირად კათალიკოზის შემდეგ და კანდიდატებად საკათალიკოზო კათედრაზე. ამოდენა ღვაწლისთვის ბაგრატმა თვისი სახე გამოახატვინა ვედრების ღვთის-მშობლის ხატთან მუხლ-მოდრეკილად მვედრებელი და შემდეგ თვით ტაძრის კედელზედ გამოსახეს მისი სურათი. ეს სწორედ ის სურათებია, რომელნიც „მხატრობის ისტორიული მეცნიერების“ უსტაბაშმა გ. წერეთელმა ბაგრატ დიდის სურათად იცნო (ესეც „ოფოფი“!) და ეს აღმოჩენა ჟურნალ „კვალში“ დიდის ზარითა და ზეიმით გამოაქუხა ჩვეულებრივის უსაბუთობით. ესეც არ იკმარა და ბაგრატ III-ის გამადიდ-

*) იხ. „ივერია“, № 111.

## ჩემს გულს

—

გულო, ნუ ჰკვნესი, ნუ ჰშფოთავ,
ნუ დამამსგავსებ სნეულსა,
ნუ მომიშხამავ სიცოცხლეს,
მღერას და სიცილს ჩვეულსა.

—

ნუ გადმიწყვეტ იმედსა,
ნუ მომიჩქარებ სიკვდილსა,
ნუ შემყრი ჩემსა საყვარელს,
ხულთ-მობრმავს, ღონე-მიხდილსა.

—

დამშვიდდი. შენსა სატრფოსა
ასცდება სხვისა მონება
და, მტრისგან მრავალ-ტანჯული,
ისევ შენ ჩაგეკონება.

—

დაგვედგმის ნათლის გვირგვინად
მთვარე შუქ-გაასხებული
და „მილის ჰირსა“ გვიმღერებს
ბუნება მინაზებული.

—

ცა აიაზმას გვასხურებს,
დაგვლოცავს ვარსკვლავთ კრებული,
და ველარ დაგვძლევს შავ-ბედი,
ჩვენს სამტროდ გაათეთრებული.

—

გულო, დამშვიდდი, ნუ ჰშფოთავ,
ნუ დამამსგავსებ სნეულსა...
მაცოცხლე, სატრფოს შემყარე,
ნუ მომკლავ მისგან ეულსა.

განდეგილი

---

## ტფილისის სათავად აზნაურო სა-ადგილ-მამულო ბანკის კრება

26 მაისი

სხდომა დაიწყო 1$^1/_2$ საათზედ. ამ დღეს კრებას, შემდეგ ყოველივე კითხვების დაბოლოებისა და არჩევანების დასრულებისა, უნდა მოესმინა ოქმი წარსულის სხდომისა და შესდგომოდა იმ კომისიის არჩევას, რომელიც მოსთხოვა საზოგადოებას თ. ილ. ჭავჭავაძემ და რომელზედაც თანხმობა გამოაცხადეს დიდის სიხარულით, ტაშის ცემით, «ვაშას» ძახილით თ. ივ. მაჩაბელმა, ოპოზიციამ, მისმა «მებაირაღეებმა», როგორც თვითონ ბრძანებენ, მ. მაჩაბელმა, ს. მაჩაბელმა და გ. მაჩაბელმა; იმ კომისიის არჩევას, რომელსაც უნდა მისცემოდა სანქცია კრებისაგან—გაეჩხრიკა ყოველივე საქმე ბანკისა დღიდამ მისის დაარსებისა, გამოეძიებია ყოველი საქმე და მოქმედება თ. ილ. ჭავჭავაძისა, როგორც თავმჯდომარის ბანკის გამგეობისა და როგორც საზოგადო მოღვაწისა; განეხილა და განესაჯა ყოველი მუხლი იმა ბრალდებისა, რომელნიც, თანახმად თ. ივ. მაჩაბლისა, მის, მაჩაბლის მიერ უნდა ყოფილიყვნენ გარკვევით და კრცლად ჩამოწერილნი თვით კრების წინაშე და შემდეგ ამა ყოველისა, უნდა დაედგინათ მათ განჩინება იმის შესახებ, არის თუ არა თ. ჭავჭავაძე „ბანკის საქმეების უვიცი და მავნე ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეში“. ეს მსჯავრი ხსენებულის კომისიისა უნდა ჩათვლილი ყოფილიყო უკანასკნელ სიტყვად მართლ-მსაჯულებისა!.. თუ ამ სიტყვით იქნებოდა გამოთქმული, რომ თ. ილ. ჭავჭავაძე დანაშაულია ბანკისა და საზოგადოების წინაშე, მას, იმ ხელ-წერილის ძალით, რომელიც სხდომის ოქმში, 16 მაისიდამ გამოყვანილი და ხელ-მოწერილი მის მიერ და თ. ივ. მაჩაბლის მიერ, უნდა დაენებებინა თავი ყოველ ქართულ საზოგადო საქმის და მოღვაწეობისათვის და, თუ გაამართლებდნენ—მაშინ თ. ივ. მაჩაბელი უნდა დასხსნოდა ყოველივე საზოგადოების მოღვაწეობას და მოვალეობის კისრებას!..

ზ. ჩიჯავაძე. ბბ. დღეს სწორედ 15 დღეა, რომ ჩვენის ბანკის საქმეებს და მოღვაწეობას თავადის ჭავჭავაძისას ვარჩევდით, ვიკვლევდით, ვსწავლობდით და ვსწყვეტდით!.. როდესაც ყოველივე მოვისმინეთ ჩვენ სვინიდისით, ნამუსით, გონებით, მოვალენი ვიყავით მადლობა გვეთქვა თ. ჭავჭავაძისათვის იმ წმინდა და გონიერ მოღვაწეობისათვის, რომელიც გაუწევია მას!.. ჩვენ მხოლოდ მოვალენი ვართ ბოდიში მოვითხოვოთ წინაშე თ. ჭავჭავაძისა, რომ ორი კვირა ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ დავსტანჯეთ და ყვედრებაც ვაკადრეთ ხოლმე!.. რად გვინდა კომისია, ბბ!? განა ჩვენზედ უკეთესი კომისია შეიძლება? განა ჩვენ ვერ გავარჩიეთ—ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი? ვინ არის იუდა და ვინ არა? გავარჩიეთ! და რაც 1000 კაცმა განსაჯა, დაათვალა, შეიგნო, იმაზედ უკეთესს ვერას იტყვის კომისია!.. თ. ჭავჭავაძის სიმართლე და სიმტკიცე გუშინდელ ჩვენის უმრავლესობის განაჩენში მოიპოვება!.. (ვაშა).

პ. ტატიშვილი კომისია რომ ამოვირჩიოთ—რამისცეთ განსახილველად? 18 წელიწადზედ მეტია მოვდივართ, საქმეებს ვარჩევთ, ვუკვირდებით, და ამ ხნის განმავლობაში მის მეტი არა გვინახავს-რა, რომ ჩვენის ბანკის საქმეები საკეთილო გზას ადგიან და სარგებლობა მოაქვთ!.. სხანს ჩვენთვის მაგ კაცებს ზარალი არ მოუტანიათ... და თუ მათ ერთმანეთში რამე დავა და უსიამოვნება აქვთ—თვითონ აირჩიონ კაცები და გასამართლდენ!.. თორემ ჩვენ რომ ავარჩიოთ კაცები და ის ნება მივსცეთ, რომ ერთი დაკლან და მეორე აცოცხლონ ამას ნუ ინებებთ.

თ. კლ. ვაჩნაძე. კომისიაზე კამათი აღძრული იყო თვით თ. ჭავჭავაძის, წინადადებით; ჭავჭავაძე ბრძანებს, რომ ამგვარად ბანკის საქმეების წინ მსვლელობა შეუძლებელი არისო; ამას ჩვენ მოვალენი ვართ დიდის ყურადღებით მოვეპყროთ; საჭიროა უთუოდ კომისია; მხოლოდ, თუ შეიძლება, ვკითხოთ თ. ჭავჭავაძეს—ნებავს, თუ არა კომისია დღესაც?

თ-დ დ. ავალიშვილი იმ აზრისა არის, რომ საბანკო კრებას უსტავის ძალით არა აქვს ნებ ამგვარის კომისიის(?!) არჩევისა; ამისათვის დავხუროთ საბანკო კრება და ეს კომისია ისე ავირჩიოთ, როგორც საზოგადოებამაო.

თ. გ. ანდრონიკაშვილი. ის ბრალდებანი, რომელნიც წარმოთქმულნი იყვნენ თ. ივ. მაჩაბლის მიერ თქვენს წინაშე თ. ილ. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ, არა მარტო შეცდომანი არიან, ანუ და საქმის გაურკვევლობა, არამედ სასტიკი, საფრთხილო ჭავჭავაძისათვის და დიდ მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის ბრალდება, რომელიც უნდა გამოვიკვლიოთ და რომელიც უნდა დავასაბუთოთ! ჩვენ გვეუბნებიან, რომ ის კაცი, რომელსაც ჩვენი საზოგადოების უმეტესობა, უკეთესი ნაწილი გულ-წრფელად, პირახდილად ოცი წელიწადია ირჩევს და აბარებს მას ამისთანა მრავალ მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმეს, მავნე და უვიცი არისო!.. მაშასადამე ჩვენც ბრალი გვედება ასეთის ადამიანის ამორჩევაში!.. აი, ამისათვის ჩვენის სიმართლის და მოქმედების გასარჩევად, ჩვენ მოვალენი ვართ საქმე გამოვიკვლიოთ... მე ამ ბრალდებამ უფრო მეტად შემიპყრო, როცა ორის წლის წინად თ. მაჩაბელმა გამოაცხადა: „მე არ შემიძლიან იქ ვიშრომო და ვიღვაწო, სადაც ასეთი მავნე, უვიცი და ხელის შემშლელი კაციაო“ და გავიდა სამსახურიდან!.. დღეს რაღაც მიზეზის გამო შეიძლო ამ პირობებში და ამ უგუნდარათ კაცთან სამსახური და ბანკში შემოვიდა!.. ეხლა მეორედ ამბობს, რომ იგი მავნე და უვიცი არის და მაგასთან შრომა სარგებლობას ვერ მოგვიტანს, რადგანაც ყოველს კეთილს აზრს და საგანს ხელს უშლის პირადის ანგარიშების მიზეზითო! ჩვენ არა გვაქვს ნება ეს უყურადღებოდ დავსტოვოთ და არ ავხსნათ ის, თუ ვინ მართალია და ვინ მტყუანი, რომ ამ გვარად ჩვენი საქმე ერთხელ და საუკუნოდ რიგიან გზაზედ დავაყენოთ და მოვრჩეთ ამ შფოთს და განხეთქილებას!.. (ვაშა).

ს. მაჩაბელი. მე თანახმა ვარ თ. ავალიშვილის აზრისა, რომ ჩვენ აქ ნება არა გვაქვს ავირჩიოთ კომისია, როგორც ბანკის კრებამ, ეს არ არის ჩვენი უფლება; მაგრამ მე თანახმა არა ვარ ზ. ჩიჯავაძის აზრისა—გუშინდელის კენჭის ყრით არაფერი სიმართლე არა სწყდება!... მე სრულიად შეგნებულად ჩავუგდე გუშინ თ. ჭავჭავაძეს ორი შავი კენჭი; თუ კომისია მას გაამართლებს, მაშინ მე შემიძლიან სრულად შეგნებულად მივსცე ორი თეთრი კენჭი. (ხმა: ძალიან საჭიროა შენი ორი თეთრი კენჭი).

თ. აფხაზი. ამოდენი ხანია ყოველს საგანს, ყოველს მისს ნაწილს, ყოველს ბრალდებას ვარჩევთ და ვსჯით; არც ერთი მათგანი სამართლიანი არ გამოდგა და ყოველივე იმას ამტკიცებს, რომ თ. ჭავჭავაძე არის სანატრელი მოღვაწე და ერთგული არა თუ ჩვენის ბანკისა, არამედ მთელის ჩვენის ერისათვის!.. ზ. ვაჩნაძემ იკითხა: სურს თუ არა დღესაც თ. ჭავჭავაძეს კომისიაო? დიაღ-ჰსურს! მაგრამ კომისია ჩვენთვის საჭირო არ არის. რა უნდა გვაჩვენოს ისეთი კომისიამ, რაც ჩვენ თითონ ჩვენის თვალით არ დავინახეთ? ვინ არის მტყუანი და ვინ არა—ეს გუშინდელმა განაჩენმა დაგვანახვა და ბრმა უნდა იყოს ის, ვინც, ყოველივე ჩვენგან ნახულის, განსჯილის და გარდაწყვეტილის შემდეგ, ვერ მიხვდება, თუ ვინ უნდა წავიდეს ბანკიდამ, თუ-კი მას ცოტაოდენი სვინიდისი აქვს!..

თ. რევაზ ვაჩნაძე. არაფერი კომისია არ გვინდა! სანამდის ბანკის გამგეობის შორის სრული თანხმობა იყო, მანემდის ზარალის მეტი ბანკს არ უნახავს და როცა სხვა შემოვიდა და უთანხმოება ასტეხა, სარგებლობა ვნახეთ. დაე, ჩვენ რა გვენაღვლება რამდენიც უნდათ იმოდენი იჩხუბონ, თუ-კი ჩვენ ვისარგებლებთ!..

ზ. ლოლაძე. იმ აზრისაა, რომ უკომისიოდაც მთელი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ თ. ჭავჭავაძე ყოველისფერში მართალია და ყველა ბრალდება მისდამი მიქცეული აშკარა ცილის წამებაათ.

ზ. ამირაღოვი. პატიოსანო კრებავ! მე სრული თანახმა ვარ თ. ავალიშვილისა, რომ ჩვენება არა გვაქვს უსტავით მაგგვარის კომისიის არჩევასა! რად გვინდა კომისია? თუ ბანკის რევიზიისათვის—რევიზია რა საჭიროა, როცა ყოველი ბანკის საქმე ისე რიგიანად და სასარგებლოდ არის, რომ მეტის ნატვრაც-კი რიგი არ იქნება და თუ იმისთვის გინდათ, რომ ან ერთი დასაჯოთ და ან მეორე ეგ „უგალოვნი ზაკონის“ საქმეა. (სიცილია ხალხში).

მ. მაჩაბელი. ჩვენ პატიოსნებას თავი დავანებოთ! თ. ჭავჭავაძე და თ. მაჩაბელიც ორივე ძალიან პატიოსნები არიან—ღმერთმა ორივენი აცოცხლოს! ჩვენ მხოლოდ სისტემაზედ ვლაპარაკობთ, სისტემაზედ!.. ჩვენ ვამბობთ, რომ ის სისტემა, რომელიც ეხლა არის, არ ვარგა; იმას გარდა ზარალისა არა მოაქვს-რა; საქმეები ცუდად მიდის; აქ დანაშაულია ჭავჭავაძე და ეს უნდა ავხსნათ; დღეს თუ ჩვენ სამასი ვართ, ხვალ—ექვსასი ვიქნებით, ზეგ ათასი და სხვა. აი, ამისათვის გვინდა კომისია, რომ

---

ბაგრატებელმან ეს უკანასკნელი ძალად ბერად შეაყენა იმავე გელათში (ასე იყო ნება გ. წერეთლისა!) და რამდენადაც მახსოვს, იქვე დამარხა. (რამდენი «ოფოფები»!..) ყოველივე ეს მეცნიერმა დააჭეშმარიტა იმავე „მხატვრობის ისტორიული მეცნიერებით“, ჰაერში ფრენა-ნავარდობით, ჩვენ მაგ სიმაღლეზედ ასვლისა გვეშინია, რომ კისერი არ მოვიტეხოთ, და ისევ ხმელზე სიარული და საბუთების კრება ვირჩიეთ. ამ საბუთების ძალით ჩვენს „ქრონიკებში“, მეორე წიგნში მოქცეულია იმისი დასამტკიცებელი მასალაც, რომ იმერეთის მეფის ბაგრატის შვილს გიორგის (გამეფდა 1564 წ.), მისს ცოლს რუსუდანს, მათს შვილს ბაგრატს და კათალიკოზს ევდემოზს შეუსრულებიათ ბაგრატისგან დაწყებული გელათის განახლება დაუზარებლად, დაუხატვინებიათ კედლები ორისავე ტაძრისა და მრავალ ახალ შეწირულობით აღუვსიათ გელათი. ეს სწორეთ ის პირნი გახლავან, რომელიც „მხატრობის ისტორიის მეცნიერების“ ბოლაზმა გ. წერეთელმა იცნო გიორგი აფხაზთა მეფედ (†955 წ.), ბაგრატ III ედ (†1014 წ.), რუსუდან — მეფედ (†1246 წ.), და ამ ნაირად ყოველ საუკუნის მხატვრობისა სხვაობის მტკიცედ მეცნიერმან ხუთას - ექვსასის წლით იცრუავა და მეცნიერულად გაგვაცრუა (რა „ოფოფები“) მაგრამ ამაოდ, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ამ გვარის მეცნიერებით გ. წერეთელი ჰაერში თუ ინავარდებს, თორემ ხმელეთზე დიაღ მოკლე ფეხებიანია, შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე გაცრუვდება მისი უსაბუთ-უსაფუძვლიანობა მისის აქსიონითურთ.

ეს ამოდენა საბუთები ერთად შეგვიყრია და გელათის აშენების ამბავი რამდენადაც შეიძლებოდა გამოგვირკვევია, მაგრამ გ. წერეთელს საბუთები ჩალადაც არ მიაჩნია, თუ თავში უბრწყინავს თვისი საკუთარი ჰაერიავანი (ე. ი. ჰაერში მოპოვნილი) აზრი, რომელსაც არა აკლია რა გარდა საბუთიანობისა და ცოდნისა, თუ, რასაკვირველია, ვიგულისხმებთ ქვეყნიურს, კაცობრივს ცოდნა-მეცნიერებას და არა უზესთაეს ჰაერთა შინა გამოცხადებულს.

ამ ჰეროსანს, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა ჩვენი საბუთიანობა, როგორც არ მოიწონა მაგალითად, გ. წერეთელმა საბუთები ბედიის ეკკლესიაზე, და თუმცა დავამტკიცეთ, რომ გელათის ეკკლესია ბაგრატ IV-ის აშენებულია 1057 წ., ხოლო დიდი ეკკლესია გელათისა—დავით აღმაშენებელის დროს 1106 წ. და გათავებულა 1130 წელს, მაგრამ კრიტიკოსმა მაინც სრულიად უარყო ჩვენი აზრი; გელათის ეკლესიების აღშენება ძველს მეფეებს მიაწერა, როგორც ხუროთ-მოძღვრების და „მხატვრობის ისტორიული მეცნიერების“ მცოდნემან. გარდა თვისის ავტორიტეტისა, გ. წერეთელმა აქ იკადრა საბუთების ჩვენებაც და აი დახეთ რა საბუთებისა: ჩვენს „ქრონიკებში“ მოხსენებულია მიწის-ძრვა 1089 წელს; ამ მიწის ძრვის დროს თურმე დაქცეულა, (როგორც გ. წერეთელს სწამს) გელათის გუმბათი (დიდება ღვთის განგებას!), ხოლო დავით აღმაშენებელს თურმე ეს გუმბათი აუშენებია და აშენების დროს თვითონ ჩამოვარდნილა გუმბათიდგან და კინაღამ არ დამსხვრეულა (მადლობა ღმერთს რომ გადარჩენილა!). ამ გუმბათის აშენებისთვის (რუსულად რომ ვთქვათ „პოჩინკისთვის“) თურმე დავითს უწოდებენ „დავით აღმაშენებლად“. აი რაზე აფუძნებს ამ „ოფოფებს“: ქართლის ცხოვრებაში სწერია, რომ დავით მეფემ გელათს „ვითარცა მეორე გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა“. ეს ფრაზა გ. წერეთელს არ მოსწონებია და განზრახ ესრე შეუცვლია: „ვითარცა მეორეცა გარდაართხა ტაძრისა ყოვლად წმიდისასა“ („კვალი“ №-13, გვ. 15) ერთის სიტყვით ძირიანად შეუცვლია აზრი მატიანისა: მემატიანე სწერს, რომ დავითმა გელათს გარდაართხაო (ააშენა) ტაძარი, ვითარცა მეორე ცა; ხოლო გ. წერეთელი არ უჯერებს დავითის მემატიანეს, მისს თანამედროვეს და ამბობს, რომ გელათს-კი არ გარდაართხაო ტაძარი ვითარცა მეორე ცა, არამედ წინა-უკმო: ტაძარს გარდაართხაო (გელათი-კი არა) მეორეცა (ე. ი. გუმბათიო), ანუ გელათის ტაძარს მეორე გუმბათი გაუკეთაო. ამ გვარად მატიანეთა გარდი-გარდმოკეთების ნება არც ერთს მეცნიერს არ აქვს, გარდა გ. წერეთლისა, უჰაეროვნესისა მეცნიერთა შორის. მართლადაც- და ესრეთი ხერხი რომ არ გამოეგონებინა ბ-ნ წერეთელს, მაშინ არ გვექნებოდა ის ჩვენის ისტორიისთვის შესანიშნავი ახალი ცნობა, რომ დავით აღმაშენებელს „პოჩინკა“ უქმნია გელათისთვის! მერე გ. წერეთელს უსაუოდ უნებებია დაგვარწმუნოს, რომ ცა გუმბათს ჰქვიანო (რომელ ლექსიკონით!) შეიძლება ამ მეცნიერს როგორმე გამოპარვოდეს, რომ საეკკლესიო წერილებში ცად სიმბოლიურად იწოდება ტაძარი (და არა გუმბათი), ვითარცა საყდარი და საყოფელი ღვთისა. საკვირველი აქ უფრო ის არის, რომ ესრეთმა მწარედ დამამახინჯებელმა მატიანისა შეუნდობელ ცოდვად და „უცებობად“ ჩამომართვა მე, ჩემი შენიშვნა იმაზე, რომ მეორე ცას მაგიერ „მეორეცა“ უნდა-მეთქი; თუმცა ჩვენ ეს მოსაზრება დავამყარეთ ორს დიდად საყურადღებო ქ-ცხბის ვარიანტზე და საქმის გარემოებაზე (იხ. ჩემი „ქრონიკები“ გვ. 144) და არა ჰაეროსნულ მიდებ-მოდებაზე და ოფოფურს თავხედობაზე. ჩვენი აზრი მაინც არ არღვევს „ქართლის ცხო-

ქვეყანას დავუმტკიცოთ ჩვენი სიმართლე!.. როცა ჭავჭავაძეს ვკითხეთ: რატომ 5%-ანი სესხი არა გვაქვსო, გვიპასუხებს რაღაცეებს ბირჟაზე და ერთი და მეორე...

ნ. ორბელიანი. კომისია უეჭველად საჭიროა! ვერც თ. მაჩაბელი იტყვის ამაზე უარს და ვერც თ. ჭავჭავაძე; კომისია ჩვენის მომავალის საქმეებისათვის საჭიროა; უნდა ყოველივე გავიგოთ და ავხსნათ; ის საზიზღარი მოქმედება, ის ფლიდობა, რომელიც გ.მგ... (საშინელი ყვირილი და ხმაურობა ასტყდება; ორბელიანს სიტყვას აწყვეტინებენ).

თ. გ. ორბელიანი. კომისია, რომელსაც თხოულობდა და ითხოვს თ. ჭავჭავაძე, საჭიროა ჩვენთვის, რადგანაც იმან უნდა მოჰფინოს ნათელი ყოველ ჩვენს საქმეს და აგვიხსნას სიმართლე; ის ბრალდება, რომელიც თ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ იყო გამოთქმული, ჩვენც შეგვეხება და მაშასადამე ჩვენი ვალია ყოველივე შევიგნოთ... მე არ ვიცი, რას ისაყვედურება მ. მაჩაბელი? ბანკის უფროსმა, რომ „ბირჟას“ ყურადღება არ მიაქციოს და იმისდა გვარად არ წაუძღვეს ბანკის ოპერაციას—ეს არ მესმის სრულიად!.. ერთი და მეორე არ ვიცი რა არის და „ბირჟის“ ყურადღება-კი საჭიროა... მე თანახმა არა ვარ მისი, რომ იმ კომისიამ ექსპერტები მოიწვიონ სხვა ბანკებიდამ, როგორც ზოგიერთმა ბრძანეს,—მისათვის, რომ ეს საფრთხილოა, რომ გარეშე კაცს გარდაუშალოთ ყოველი ჩვენი საქმე წინ!..

თ. ივ. მაჩაბელი. აქ თ. აფხაზმა წარმოსთქვა, რომ თავი დაანებოსო. მე მაგათაგან არა ვარ აღმორჩეული და არც მაგათის სიტყვით წაველ!.. მე არ მითქვამს, რომ ამ გვარი საქმეების წარმოება ბანკში შეუძლებელია, ისკი ვსთქვი, რომ ჭავჭავაძე ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეებში მავნებელია-მეთქი. შემდეგ სხვა-და სხვა გვარად შეეხო ამ საგანს და ასე დაასრულა: თვითეულმა ჩვენთაგანმა აღმოირჩიოს სამი კაცი, მათ კიდევ ერთი ვინმე გარეშე და ისე გადასწყვიტონ საქმე. (ხმაურობა: გადაუხვია, კიდევ მედიატორეზე მიცოცავს!)

ბ. კობიაშვილი. ჯერ უპასუხა თ. ავალიშვილს და დაუსაბუთა, რომ ბანკის კრება ფორმალურადაც და ზნეობითაც მოვალეა აღმოარჩიოს კომისია და ეს საგანი გარდასწყვიტოსო და შემდეგ სთქვა: აქ მედიატორები საჭირო არ არის! აქ კომისიაზეა ლაპარაკი; ამ კომისიის არჩევას დასთანხმდა თ. ივ. მაჩაბელი და მისი მომხრეებიც დიდის «ვაშა» ძახილით და ეს ხელ-მოწერილი თ. ივ. მაჩაბლისგან დასაბუთებულია 16 მაისის სხდომის ოქმში. გარდა ამისა, იმ პროტესტში, რომელიც ოპოზიციამ მოართვა კრების თავმჯდომარეს და რომელზედაც 110 კაცს ხელი უწერია,—იგინი თხოულობენ, რომ ეს კომისია მარტო სიტყვად არ დარჩეს და ამავე კრებაში განხორციელდესო!.. თუ ეს ასეა, მაშ რად არ ვარჩევთ კომისიას?.. თ. მაჩაბელი ეხლა გვეუბნება: მე სამს კაცს ამოვარჩევ, თ. ჭავჭავაძემ სამი კაცი ამოირჩიოს და ისე გავაგოთ საქმეო... არა და არა!.. მათი ამორჩეული კაცები საჭირო არ არის!.. და ვინც საზოგადოებისაგან კომისიის, რომელზედაც ყველამ თანხმობა გამოაცხადა და რომლის განხორციელებას თხოულობდა ოპოზიცია წერილობით, უარს განაცხადებს—ის ემალება სიმართლეს, იმას არ უნდა კომისია და საქმის განსჯა, გამოაშკარავება სინამდვილისა, ის არის დანაშაული და ღირსი ყოველგვარის განკითხვისა!.. (ვაშა და ვაშა!)

თ. ჩერქეზიშვილი. მ. მაჩაბელი სულ იმას აყვედრის გამგეობას და მეტადრე ჭავჭავაძეს, რომ სისტემა არ გივარგაო; რომ ჩვენ სხვა სისტემა გვინდა და მივსდევთ და სხვა... თუ შეიძლება გამოსთქვას მ. მაჩაბელმა წერილობით: რაში მდგომარეობს ძველი სისტემის უვარგისობა და ის, თუ რა ღირსება და რა სახე აქვს მათს სისტემას. მივანდობთ კომისიას და ის განარჩევს....

თ. გ. თარხანაშვილმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომლითაც სრული თვის რწმუნება და ნდომა გამოსთქვა თ. ჭავჭავაძისა; შეეხო უწესო მოქმედებას ოპოზიციისას და უსაყვედურა მათ; სთქვა, რომ ზოგიერთა ახალგაზდებს თურმე გუშინ თითის ქნევით შეურაცხყოფა მიუყენებიათ ჩვენგან, ყველასაგან პატივცემულ, დამსახურებული და საყვარელის ადამიანისათვის; ეს ღირსებას კი არ შეადგენს, რომ ამითი იქოს თავი ოპოზიციამ, ეს ნაკლის და დანაშაულობას შეადგენს; რომ ზრდილობა უკეთესი შედეგია ჭეშმარიტის განთლებისაო და სხვა. შემდეგ სთქვა, რომ კომისია უთუოდ საჭიროა, რომ მისის გარდაწყვეტილების ძალით ჩვენ თვალი აგვეხილოს, განვდევნოთ ბოროტი და ამგვარად ვიზრუნოთ მომავალში ჩვენი საქმეები ავაცილოთ ამ სისაძაგლეს და არეულობას და კეთილ გზაზედ დავაყენოთო. ძალიან კარგი კაცები დაუსახელეს თ. მაჩაბელს კომისიისათვის; იმათ ყველა ენდობა; ცნობილნიც არიან, როგორც პატიოსანი და გაგებულნი კაცები და არც-არა შუაში არიან ჩვენის ჩვენის ბანკის საქმეებშიო; ესენი არიან: თ. სვ. გ. წერეთელი, ბ. უთნელოვი და ნიკ. ზუბალაშვილი. თ. მაჩაბელმა სთქვა—ერთს მათგანს ვერ ვიცნობო! რა საჭიროა მსაჯულის პირის-პირ ცნობა თუ კი გული საგულესა გაქვს; ჩემის აზრით კიდეც სჯობია სამართლიანის განაჩენის მოსალოდნელად; მთელს კომისიასაც რომ ვერ იცნობდეს პირადად, მაინც ეს გარემოება მართალს და ზნეობით გმირს ვერ შეაჩერებს და ვერ შეაშინებს!.. (ვაშა) ბ.გრ. ყარალაშვილი კომისიის წინააღმდეგია.

თ. დ. გურამიშვილი უერთდება ბ. კობიაშვილის მიერ წარმოთქმულს აზრს და ამტკიცებს, რომ თ. ივ. მაჩაბლისაგან უარის განცხადება კომისიაზე, როდესაც იგი ამაზე დასთანხმდა და ოქმზედ ხელი მოაწერა, არის მისაგან უკან დახევა და შიში სამართალის წინაშეო.

თ. ილ. ჭავჭავაძე. მე არავისთან სამედიატორე არცარა მქონია და არცა რა მაქვს, მეტადრე ბ. მაჩაბელთან... ვიცი ძალიან კარგად რითი თავდება ხოლმე ეს მედიატორეთა მსჯელობაი, ბბ. ერთი წელიწადია თ. თარხნიშვილს ჰპირდებიან სამედიატორე მსჯელობაში გაყოლას და ჯერაც კაცი არ ამოურჩიეს (საშინელი ხმაურობა: სიცრუეა, სიცრუე!.. ამას უფრო ხმა მაღლა მ. მაჩაბელი გაიძახის.).

მე მედიატორე არ მინდა, რადგანაც ვიმეორებ, მაჩაბელთან არც არაფერი გასაყოფი მაქს, არც არაფერი საერთო და არც მინდა მქონდეს!.. მე ვთხოულობ თქვენგან ამორჩეულ კომისიას, რომელმაც მე უნდა გამასამართლოს! მე ამითი მინდა და მინდოდა გამომეცალა მაგათთვის ის ცხენი, რომელზედაც მაფრაშებით ქორები აჰკიდეს!.. შემდეგ თავ. ჭავჭავაძე შეეხო სხვა-და-სხვა უსიამუნო მოქმედებას ზოგიერთებისას და მას თუ როგორ დაამცირა ამ მოქმედებამ სახელი აზნაურობისა და დააბოლოვა:

დამთანხმდენ კომისიაზე და ეხლა გზაზე უხვევენ და სოროში მიძვრებიან, მაგრამ ისე ვერ გამისხლტებიან ხელიდამ, რომ მათი კვალი არ დარჩეს: მათი ბურტყლი ხელში მაქვს...

მ. მაჩაბელი. რა მხიარულადა ბრძანდებით, კნიაზო, გუშინდელს. აქეთ!.

თ. ი. ჭავჭავაძე. დიაღ მხიარულათ გახლავარ, როგორც ყოველთვის და ეს მხიარულება არც მომეშლება სანამდის თქვენ აქ იქნებით!.. დიაღ! იმას მოგახსენებთ, რომ კომისიასა გთხოვთ, კომისიის იმ უფლებათ, როგორც ოქმში დასახელებულია და იმან უნდა უსათუოდ გაგვსამართლოს..

თ. ივ. მაჩაბელი. მე კომისიაზე არ გამომიცხადებია თანხმობა... (შეიქნება საშინელი ხმაურობა და ყვირილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას“, რომელმაც გამოგზავნა: ოცი ცალი „Русск. Слово“, ч. I, ათი ცალი „Русск. Слово“, ч. II, ხუთი ცალი „ბუნების კარი“, თხუთმეტი ცალი „დედა ენა“, თხუთმეტი ცალი „საღმრთო ისტორია“ იოსელიანისა, თხუთმეტი ცალი „კრებული“ არითმეტიკის გამოცანებისა რ. ჯაჯანაშვილისა, ათი ცალი „ასპიდის დაფა“, ასი ცალი რუსული წრის რვეული, ასი ცალი ქართული-რვეული, ერთი ყუთი კალამი, ერთი ყუთი მელნის ფხვნილი და ერთი ყუთი გრიფილი და აგრეთვე ჩემდა ჯილდოდ ნაღდად ოცდა ხუთი მანეთი.

ქქუთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
რაჟდენ კონტრიძე

ს. ქქუთი

# დეპეშა

25 მაისი

**პეტერბურგი**. ფინანსთა სამინისტროს კომისიამ დაადგინა 15 ივნისიდგან საზღვარ-გარედ გატანილს ნავთზედ დააწესოს ნაღდად 14 კაპ., შიდა რუსეთში—19 კაპ.

27 მაისი

**პარიზი**. დეპუტატს ტუსსენს მიუსაჯეს ათის დღით ციხეში დაპატიმრება და 100 ფრანკის გადახდევინება ტრინიაკში მუშათა გაფიცვის წაქეზებისათვის.

## ტფილისის სათავად აზნაურო ბანკისაგან

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ მე-37 ტირაჟში, რომელიც მოხდა 7 მაისს 1894 წელს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელითა.

1, გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1 იანვრამდე 1881 წლ. (1874 წ. 28 მაისის წესდების ძალით—არა ურთიერთის თავდებობით).

**27 წლით და 6 თვით**

100 მან. ღირ. 2 სერ. №№ 5, 45, 99, 101, 108, 137, 155.

3 სერ. №№ 107, 143, 198.

11 სერ. № 162.

43 წლით და 6 თვით

6 სერ. № 7.

8 სერ. №№ 90, 96, 101, 152, 284, 308.

9 სერ. №№ 109, 111, 154, 207, 250, 285, 295.

11 სერ. № 82.

54 წლით და 6 თვით

2 სერ. №№ 34, 38.

3 სერ. №№ 71, 93.

5 სერ. №№ 115, 182.

27 წლით და 6 თვით

500 მან. ღირ. 2 სერ. № 5.

---

...ვრების“ ტექსტს, რადგან სხვა ვარიანტებით გასწორებული ტექსტიც და დაბეჭდილ ქ—ცხბის თქმაცა დაახლოვებით ერთსა და იმავე აზრს გვიხატავს, რომ დავით აღმაშენებელმა მეორე ეკკლესიაც აღაშენა გელათში (ჩვენის წაკითხულით), ანუ „მეორეცა“, ე. ი. სიმბოლიურად მეორე საყდარი აღაშენაო, როგორც ჰხედავთ, ჩვენ დიდი ცვლილება არა მოგვიხდენია - რა, მაგრამ დახეთ თვისს თვალში დვირის არ მხედველს თუ რაოდენის წყურვილობით დაეძებს სხვისს თვალში ბეწვსა! და აჰა ბეწვისაც ვერ აღმომჩენელი რა რჩევას გვაძლევს: „სჯობია ბ-ნი ჟორდანია ასეთს უცებს კომენტარიებს თავს დაანებებდეს“ (კვალი“ № 13, გ. 15). ფეშქეშ! თავი დამინებებია კიდეც..., მაგრამ იმ პირობით კი, თუ ბ-ნი გ. წერეთელი გაგვიზიარებს თვისს ჰაეროსნობას, ხუროთ-მოძღვრებითს და „მხატვრობის ისტორიულ მეცნიერებას“. ეს კი მაინც უნდა მოვახსენო გ. წერეთელს, რომ თვით Chronique Arméniene-იც ჩვენს მისგან გაკილულს აზრს ამოწმებს, რადგან იქ მოხსენებულია: დავითმა გელათში აღაშენა „მეორეცა ეკკლესიაო“, მაშასადამე პირველი ტაძარი უკვე ყოფილა (იხ. კიდე Hist. G. I. P. 358,-Brosset)

მეორე საბუთი, რომელზედაც აფუძნებს ბ-ნი გ. წერეთელი დავით აღმაშენებელის მიერ გელათის ტაძრისა „პოჩინკას“ გახლავთ მისგან აღმოჩენილი (?) ავშანდაძის გუჯარი; „ამ გუჯარში სწერია, რომ დავით აღმაშენებელი გელათის ტაძრიდამ გადმოვარდა და დაიმტვრაო. საფიქრებელია (ე. ი. გ. წერეთლისთვის), რომ დავით აღმაშენებლს მოუსურვებია მუშაობის დაწყების დროს ძველი (?) გუმბათის საფუძლის დათვალიერება, ასულა (თურმე!) ტაძარზე, მაგრამ უბედურობა შემთხვევია“ ამ მრავალსიტყვაობას გ. წერეთლისას სრულიად აცრუვებს იგივე ავშანდაძის გუჯარი, რომელშიც სწერია, რომ დავით აღმაშენებელი გელათის გალავნიდამ (და არა გუმბათიდამ გადმოვარდაო (აქაც „ოფოფი“)!. მაგრამ გ. წერეთელმა მაინც გუჯარს არ დაუჯერა გადააკეთა და გუმბათზე ძალად აიყვანა მეფე და იქიდამ გადმოგვიგდო, როგორც ძალად გააბერ-მონაზონა ბაგრატ დიდიცა, და როგორც გააბაგრატ-დიდა იმერეთის ბაგრატ III—მეფე ნუთუ მეცნიერმა ხუროთ-მოძღვარმა ვერ შეატყო, რომ ავშანდაძის გუჯარი სიცრუვით სავსეა, არაკებია და ნამდვილი არ არის? ეს დიაღ დიდი დვირეა თქვენს თვალში, ბ. გ. წერეთელო და თუ გნებავთ, ამოვიღებთ..

მესამე საბუთიც გელათის დავით აღმაშენებელის მიერ „პოჩინკოპისა“ გ. წერეთელმა გვიჩვენა „ძეგლის წერაში“ და გვარწმუნებს, ვითომ ამ ძეგლში ეწეროს, რომ „დავით აღმაშენებელს თავისა და თავის შთამოებების (ორის თავისა და შთამოების?!) სამარხათ ნდომებია (ე. ი. შთამოების თავების დასამარხათ?) გელათის ტაძრის გადაქნა (იხილეთ ჩვენს მეცნიერს ტაძრების გადაქნა, ჩამოქნა და გამოქნაც შესძლებია!), მაგრამ სამარხი ეკვტრების მიშენება ველარ მოუსწრია და ამის დამთავრება თავის შვილის (თავსა როგორ ჰყოლებია შვილი!. ვგონებ უნდა ეთქვა: „თავისის შვილის“) დიმიტრისთვის მიუნდვია“ და სხ. თქვენი რისხვა მქონდეს, თუ მაგ ძეგლის წერაში მოხსენებული იყოს ან გელათის „გადაქნა“, ან ეკვტრების უსრულობა ან ამ ეგვტრების შესახებ ანდერძი ეწეროს გინა იცნობებოდეს მაგ ძეგლის წერიდამ. (იხ. ჩემი „ქრონიკები“ გვ. 246; „საქართველოს სამოთხე“ გვ. 512-519).. ყოველივე ეს გამოგონილია იმ სასწაულ-მოქმედებობის ძალით, რომელმან „გადაქნა“ ლაშა-Луч-ად, ბაგრატ დიდი ძალად აქცია ბაგრატ მცირედ, და ბერადაც შესვა სენაკში, გელათის გუმბათი დააქცია, დავით აღმაშენებელი ამ დაქცეულს გუმბათზე აიყვანა, ჩამოაგდო და დაამსხვრია, რომელმა ხუთას ექვსასი წლები და საუკუნოები გადი-გადმორია და ძველ გმირებს თავზარი დასცა. მხოლოდ „ჰაეროსანს“ ხუროთმოძღვარს და ,,მხატვრობის ისტორიული მეცნიერების“ ბუმბერაზს თუ შეუძლია ეს და ამ გვარნი საგმირონი საქმენი...

არ დაგვავიწყდეთ, რომ ბ-ნ გ. წერეთელმა თვისს კრიტიკას სახელდვა გამოკვლევა და ბრძანა: „ვათავებთ ამ გამოკვლევას ერთ ზედ-წარწერით, რომელიც იპოვება ეტრატზე დაწერილი იოანე ოქროპირის სასარების თარგმანში“, ე. ი. ის ზედაწარწერა ყოფილა ეტრატზე დაწერილი და იპოვება ანუ ჩადებული ყოფილა იოანე ოქოპირის თარგმანში. დიდად მსურს, ესრე ესმის გ. წერეთელსაც მისი ქართული, თუ არა?

როდის იქნება, რომ ჩვენი მწერლობა მოესწრას ჭეშმარიტს კრიტიკებს? „ვაჲმე, რამეთუ დავკნინდით და მოგვაკლდა ჩვენ“ *)!

თ. ჟორდანია **)

---

*) ჩვენის „ქრონიკების“ 144 გვ. ნათქვამი ჩვენვე გავასწორეთ 202 გვერდზე. ეს დიდ შეცდომებად ჩამომართვა გ. წერეთელმა. მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ პატიოსანმა მკვლევარმა თვისი თავ-მოყვარეობა და ყოყოჩური „mania grandios-ობა განზე უნდა გადადოს, და თვისი შეცდომები აღიაროს, როდესაც ემსახურება ჭეშმარიტებას, გინა ისტორიულს მეცნიერებასა. ყველა ჭეშმარიტი მეცნიერი ეგრეთნი ყოფილან, გარდა „ჰაეროსანთა“ და „გადაქმნელთა“.

ავტ.

**) რაც შეეხება ხელთნაწერების დაკარგვას განსვენებულ დიმ. ბაქრაძის წიგნთ-საცავიდგან, რის გამოც პოლემიკა ასტყდა ბ-ნს ჟორდანიასა და იმის მოწინააღმდეგეთა შორის და რომელიც სრულიად უადგილოდ არის აღძრული ამ წერილში, რედაქცია ამ საგნის გამო თავისს აზრს თავისს დროზედ გამოსთქვამს.

რედ.

3 სერ. № 69.
54 წლით და 6 თვით
3 სერ. № 75.
27 წლით და 6 თვით
1000 მან. ღირ. 2 სერ. № 69.
3 სერ. № 92, 100.
54 წლით და 6 თვით
3 სერ. №№ 8, 19, 24, 27.

—

2, გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 1881 წლის 1 იანვრიდამ (1881 წლის 17 თებერვალის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით).

6% გირავნობის ფურცელნი
27 წლით და 6 თვით
100 მან. ღირ. 1 სერ. №№ 44, 125, 145, 233.
2 სერ. №№ 22, 29.
3 სერ. №№ 10, 15, 23, 96.
4 სერ. №№ 135, 182, 183, 230.
6 სერ. №№ 14, 61, 86, 95.
8 სერ. №№ 12, 50.
10 სერ. №№ 12 20.
11 სერ. №№ 6, 16, 57.
13 სერ. №№ 15, 22, 71, 271.
14 სერ. №№ 22, 39, 71, 72, 89, 96, 97, 115.
15 სერ. № 135.
16 სერ. №№ 182, 241, 283, 284, 312, 324.
17 სერ. №№ 2, 6, 169.
18 სერ. №№ 143, 144.
19 სერ. №№ 2, 145, 158, 184.
20 სერ. №№ 170, 176, 342, 385.
43 წლით და 6 თვით
9 სერ. №№ 5, 10.
15 სერ. №№ 33, 34, 84, 108, 120.
16 სერ. №№ 68, 69.
19 სერ. №№ 14, 23, 47, 75.
21 სერ. №№ 66, 74, 86, 116.
27 წლით და 6 თვით
500 მან. ღირ. 1 სერ. №№ 29, 41.
2 სერ. № 9.
4 სერ. № 7.
5 სერ. № 18.
9 სერ. № 5.
13 სერ. №№ 8, 73.
20 სერ. № 164.
43 წლით და 6 თვით
9 სერ. №№ 13, 18.
15 სერ. №№ 4, 8, 14, 16.
27 წლით და 6 თვით
1000 მ. ღირ. 1 სერ. №№ 2, 60, 111. 215, 318.
2 სერ. №№ 80, 83, 137, 170, 208, 209, 282, 310, 372, 389, 431, 463, 471, 510, 667, 675, 681, 713, 780, 789, 800, 811, 867.
3 სერ. №№ 8, 20, 35, 77, 80, 89, 122, 138.
4 სერ. № 194.
7 სერ. № 306.
9 სერ. № 72.
10 სერ. №№ 22, 29.
11 სერ. № 249.
12 სერ. №№ 2, 6, 10, 27, 34, 48, 52, 53, 55, 64, 95, 96, 101, 102, 103, 114, 116, 118, 122, 125, 129, 144, 148, 155, 161, 167, 185.
13 სერ. №№ 70, 74, 75, 90, 101, 103, 114, 117.
14 სერ. №№ 10, 46, 99.
15 სერ. № 252.
17 სერ. №№ 26, 30, 33, 60, 67, 70, 73, 206, 217, 245, 250, 251, 337, 348, 362, 367, 371, 389, 395, 414, 439, 451, 457, 461, 464, 472, 482, 488, 494, 507, 509, 510, 514, 527, 530, 531, 532, 541, 551, 554, 559, 566, 567, 568, 574, 580, 599, 603, 615, 634.
18 სერ. № 291.
19 სერ. №№ 27, 39, 75, 81, 89, 98, 178, 183, 212, 213, 288, 296, 311, 360, 385, 391, 504.
20 სერ. №№ 25, 42, 59, 78, 91, 99, 115, 174, 202, 212, 231, 279.
43 წლით 6 თვით
2 სერ. №№ 6, 26, 27, 44, 82.
9 სერ. №№ 6, 8, 15, 32, 44, 54, 68, 69, 71.
15 სერ. №№ 27, 38, 39.
19 სერ. №№ 8, 49, 55, 75, 87, 90, 96, 106.
21 სერ. №№ 2, 4, 8, 9, 29, 38, 46, 48, 49.

5% გირავნობის ფურცელი
29 წლით 9 თვით
100 მ. ღირ. 1 სერ. №№ 3, 62.
36 წლით 4 თვით
1 სერ. №№ 249, 1431.
61 წლით 8 თვით
1 სერ. № 952.
უვადო
№№ 2470.
36 წლით 4 თვით
500 მ. ღირ. 1 სერ. № 817.
61 წლით 8 თვით
1 სერ. № 525.
უვადო
№№ 991, 2561.
36 წლით 4 თვით
1000 მ. ღირ. 1 სერ. №№ 433, 435, 462, 501, 645, 1027.
61 წლით 8 თვით
1 სერ. №№ 375, 376, 384, 386, 387, 388, 400, 401, 402, 406, 410, 414, 415, 425, 429, 682, 699, 701, 713, 715, 725, 728.
უვადო
№№ 5, 81, 704, 739, 819, 897, 911, 982, 1046, 1335, 1438, 1540, 1620, 1673, 2004, 2199, 2329, 2733, 2833, 3095, 3267, 3335, 3415, 3726, 3832, 3900, 4215, 4216, 4217, 5350, 6001, 6019, 6020, 6031, 6261, 6281, 6572, 6890, 6891, 6893.

6% გირავნობის ფურცელნი ტირაჟში გამოსულნი პირველის კონვერსიის დროს.

გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 1881 წლამდე.
54 წლით 6 თვით
100 მ. ღირ. 3 სერ. № 58.
54 წლით 6 თვით
500 მ. ღირ. 3 სერ. № 68.
54 წლით 6 თვით
1000 მ. ღირ. 3 სერ. №№ 46, 47, 58, 77.

გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 1881 წლამდე.
27 წლით 6 თვით
100 მ. ღირ. 2 სერ. № 341.
3 სერ. №№ 8, 94, 113, 124, 136, 137, 142.
4 სერ. №№ 97, 217.
14 სერ. №№ 19, 68, 117.
16 სერ. №№ 57, 68, 277.
18 სერ. №№ 116, 346.
19 სერ. №№ 209, 290.
20 სერ. №№ 6, 41, 85, 98, 102, 120, 150, 157, 304.
21 სერ. № 60.
27 წლით 6 თვით
500 მ. ღირ. 2 სერ. № 139.
15 სერ. № 101.
16 სერ. № 75.
18 სერ. № 151.
19 სერ. № 87.
21 სერ. № 213.
27 წლით 6 თვით
1000 მ. ღირ. 2 სერ. №№ 24, 59, 78, 187, 317, 351, 409, 472, 494, 503, 528, 633, 706, 715, 755, 808, 835, 844, 851, 871.
3 სერ № 15
4 სერ. №№ 3, 12, 17, 21, 25, 30, 31, 37, 39, 42, 43, 52, 55, 56, 62, 65, 67, 68, 75, 79, 80, 81, 82, 86, 87, 90, 93, 94, 95, 99, 106, 111, 112, 114, 116, 120, 121, 123, 125, 127, 129, 131, 134, 139, 141, 156, 158, 176, 179, 203, 205, 206, 227, 228, 231, 232, 259, 261, 262, 266, 271, 272, 274, 276, 277, 280, 285, 290, 292, 294, 298, 301, 304, 309.
14 სერ. № 38.
16 სერ. №№ 45, 60, 70, 78, 85, 91, 150, 154.
18 სერ. №№ 36, 130, 163, 253, 273, 288, 437, 616.
19 სერ. №№ 34, 156, 200, 301, 331, 348, 414, 516.
20 სერ. №№ 104, 158, 223.
21 სერ. №№ 1, 2, 4, 5, 6, 8, 10, 11, 22, 27, 31, 32, 36, 39, 46, 53, 55 56, 66, 71, 74, 75, 78, 79, 81, 82, 84, 89, 95, 98, 102, 104, 105, 106, 110, 112, 160, 164, 165, 166, 167, 168, 180, 183, 185, 186, 258, 260, 262, 268, 278, 281, 282, 285, 388.

ამ გირავნობის ფურცლების ფულის მიღება შეიძლება: ქ. ტფილისში—ბანკის კასსაში, პეტერბურგში—პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ოდესაში—ბ. ო. ხაისთან, ტაგანროგში, როსტოვში დონზედ—აზოვო-დონის საკომერციო ბანკში და იმ ქალაქებში, სადაც ამ ბანკს განყოფილება არის; ხარკოვში—საქალაქო სავაჭრო ბანკში, მოსკოვში—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში, კიევში—კერძო საკომერციო ბანკში, რიგაში—საბირჟო ბანკში, რეველში—ბბ. მაიერთა და ამხ. და სახელმწიფო ბანკში და ყოველი ამ ბანკის კანტორებში და განყოფილებაში.

# განცხადებანი


ნ ი ვ ზ ი ს
თმის საღებავი
ვ. მენესი.
ქ. ვენაში.



უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს გაგზავნით 3 მანეთი.
უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის
В. АУРИХЪ,
С,-Петербургъ,
Колокольная 18.
(8—6)


გამგეობა ტფილისის საზოგადოებისა ცეცხლისაგან ურთიერთის ქონებათა დაზღვევისა

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ ამა საზოგადოებისას, რომ კვირას, 29 მაისს, დილის 10 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში

## იქნება საგანგებო საზოგადო კრება

ქვემოდ აღნიშნულის საგნების განსახილველად:

1) წინადადება ზედამხედველ კომიტეტისა იმ წესის დადგინების შესახებ, რომ 15% გადაიდვას ორის დირექტორის სასარგებლოდ თანასწორად ყოველ ახლად დაზღვევიდგან საოპერაციო წელიწადში.

2) წინადადება დამზღვეველის ნ. ი. თამამშოვისა ვენახის პატრონებთან ქვემო აღნიშნულ საგანთა შესახებ:

ა) ქალაქი თავმდები იყო საზოგადოებისა, 50,000 მანეთ.-კი არა, 100,000 მანეთისა; (საჭიროა დაესწროს ნახევარი რიცხვი დამზღვეველთა);
ბ) საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვის შეცვლა;
გ) ცეცხლის მქრობელ რაზმის დაჯილდოვება ფულით;
დ) შუამდგომლობა იქმნას აღძრული იმის შესახებ, რომ საზოგადოებას შეეძლოს სახელმწიფო ფოდრათების პოლისების გირაოდ მიღება;
ე) ანგარიშების ბეჭდვა გაზეთებში და
ვ) ამორჩევა კომისიისა, რომელმაც საშუალება უნდა მოიპოვოს საზოგადოების საქმეების გასავრცელებლად და იმის შესახებ, რომ დაზღვევა სავალდებულოდ იქმნას.

3) წინადადება დამზღვეველ წევრისა პ. კ. იზმაილოვის რწმუნებით იმის შესახებ, რომ შეღავათით იქმნას დაზღვეული ის ქონებანი, რომელნიც დაგირავებულია წინანდელს პრიკაზში.

4) ამორჩევა გამგეობის წევრის ერთის კანდიდატისა ი. ა. თაიროვის ნაცვლად, რომელმაც ამ თანამდებობას თავი დაანება, რადგან ქალაქის საბჭომ ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარედ ამოირჩია. (2—1)

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

## ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ ათამდე და საღამოობით 6-დგან 7¹/ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.





„ნევის კაპრიზები“
დუხები—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“
ოდეკოლონი—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“
საპონი—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“
„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ტ ოდეკ.
სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.
„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.
საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—39)